

# სპორტიელი



სპორტული გაზეთი ხუთშაბათი 13 აპრილი 2006 №82 (2704)

ფასი 50 თეთრი

## ჯანსაღი მარცვალდი ჯანსაღ ნიადაგში

მინგე ახალგაზრდებს არ იბოძებს,  
მინგე ახალგაზრდებს არჩევს და აბეზინებს



ახალგაზრდულ ნაკრებს დანატრებულმა ოთარ მარცვალაძემ (№9) მალტელები დააწიოკა

2007 წლის ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის საკვალიფიკაციო მატჩი  
**მალტა 1:2 საქართველო**  
0:1, 0:2 მარცვალაძე (14, 41), 1:2 ფლაზონი (81)  
მალტა: ჰოგი, მუსკატი, ფაილა, ა. აგიუსი, მიფსუდი, კარვანა, ბარტოლო (სამიტი 50), ფენჩი, შებრი, ფრენდო (ე. აგიუსი 71), ფლაზონი  
მწვრთნელი: მარკ მილერი  
საქართველო: რევიშვილი, ფოფხაძე, სეთურიძე, გიგაური, იმედაშვილი, კანკავა, განუგრავა (გ. მერეზაშვილი 46), გ. ნოდ. ჭელიძე (გენაძე 66), ფიფია, მარცვალაძე, გელაშვილი (ბენაშვილი 77)  
მწვრთნელი: რალფ მინგე  
გაფრთხილება: ფაილა, ფიფია, კანკავა, იმედაშვილი  
მსაჯი: ა. მაკკორტი (ჩრდილოეთ ირლანდია)

გერმანული დებიუტი შედგა. გუმინწინ „სარბიელთან“ ინტერვიუში რალფ მინგე ფრთხილად კი ამბობდა, „ატუმრად ფრეც რომ ვითამაშოთ, საგანგაშო არ იქნებაო, მაგრამ გუმინ „ტა ქალიზე“ გასულ საქართველოს ნაკრებს სიფრთხილისა არაფერი ეტყობოდა.

მინგემ თავდასხმაში ოთარ მარცვალაძე, ნიკა გელაშვილი და გიორგი ნოდარის ძე ჭელიძე გაამწესა, რომლებსაც ზურგს სამი ცენტრალური ნახევარმცველი უმაგრებდა — ჯაბა კანკავა, გიორგი განუგრავა და მათზე ოდნავ წინ მოთამაშე გოგი ფიფია.  
ქართველები პირველივე წუთიდან დაეუფლნენ ინიციატივას და მასპინძლები საკუთარ ნახევარზე გამოკეტეს. ასეთმა მიძალებამ შედეგი უკვე მე-14 წუთზე გამოიღო: ფიფიამ საჯარიმოში მარცვალაძე მოძებნა, რომელიც სწრაფად გაუსწორდა ორ მეურვეს და ბურთს შორეულ კუთხეში მიუჩინა ადგილი — 0:1.  
თამაშის სურათი არც ამის შემდეგ შეცვლილა. 35-ე წუთზე ფიფიას შეეძლო თავის გამოჩენა, მცველი და მეკარე მოატყუა კიდევ, მაგრამ წაიბორძიკა და დარტყმა ვეღარ მოახერხა. თუმცა შესვენებამდე მალტელებს კარში მეორე მაინც გავიდა: 41-ე წუთზე ჩვენებმა მასპინძლები კონტრშეტევაზე გამოიჭირეს, ფიფიას კარგი გადაცემით მარ-

ცვალაძე ერთი მცველის პირისპირ აღმოჩნდა და დანარჩენი უკვე ტექნიკის საქმე იყო. კიევის „დინამოს“ ფორვარდმა მალტელი მცველი „მოტეხა“ და ისევ შორეულ კუთხეში მოუჭრა ბურთი კუნძულელთა მეკარეს — 0:2.  
დარჩენილ ოთხ წუთში ჩვენებს, სულ ცოტა, კიდევ ორი გოლის გატანა მართებდათ, მაგრამ ტაიმი მაინც 0:2 დასრულდა.  
მეორე ნახევარში მალტის ახალგაზრდული ნაკრები შედარებით გააქტიურდა და რამდენიმე შეტევაც განახორციელა, თუმცა ერთი ბურთი რომ გაქვითეს, საკუთარ კაიბიჭობაზე მეტად ქართველების შეცდომას უნდა უმაძღლოდნენ — 81-ე წუთზე ფლანგიდან ჩაწოდებული ბურთი ნუკრი რევიშვილს ხელიდან გაუვარდა და ფლაზონმა მანსი ადარ გაუშვა — 1:2.  
საპასუხო შეხვედრა ორი კვირის შემდეგ გაიმართება. რალფ მინგეს გუნდი კი ცალი ფეხით ჯგუფურ ეტაპზეა, სადაც სერბი და ლიტველი თანატოლები ელიან.





# დასჯილ თურქეთს თბილისში უნდა

წლებს, 6 სექტემბერს ან გაისად, 12 სექტემბერს თურქეთის ნაკრები თბილისში თუ ითამაშებს, ნუ გაგიკვირდებათ. გენსომებათ, შარშან ნოემბერში მუნდიალზე გასასვლელ საპლეიოფო სტამბოლურ მატჩში (თურქეთი — შვეიცარია) დიდი დაკა-დაკა მოხდა, მაყურებლების გარდა ფეხბურთელებმაც იჩხუბეს და ფიფას ვერდიქტიც ასეთი იყო — ევრო 2008-ის შესარჩევ ციკლში თურქეთის ნაკრები ექვსივე საშინაო მატჩს ნეიტრალურ და ცარიელ სტადიონზე ჩაატარებს, თანაც მასპინძელი სტადიონი თურქეთის საზღვარს მინიმუმ 500 კილომეტრით უნდა იყოს დაშორებული.

როგორც შევეტყვევით, თურქეთის მხარე ერთ-ერთ სამასპინძლო ვარიანტად თბილისს განიხილავს. ეს მოხდება ან 6 სექტემბერს, როცა თურქები მალტას ხედეიან, ან გაისად 12 სექტემბერს, როცა ოსმალეები უნგრეთს უნდა შეერკინონ. სხვა დღეებში კი თურქეთისა და საქართველოს ევროშესარჩევის სამასპინძლო თარიღები ერთმანეთს ემთხვევა.

ილია ნანობაჯიძე



საქართველოს ტელეკომუნიკაციები  
TELECOM GEORGIA

დაბალი ტარიფები საქალაქთაშორისო  
და მობილურ საუბრებზე

დარეკეთ ქალაქის ტელეფონიდან  
მაგთიზე და ჯეოსელზე  
(ტარიფი ვრცელდება თბილისის მასშტაბით)

25 თეთრად

საქართველოს რეგიონებში  
(ტარიფი ვრცელდება საქართველოს მასშტაბით)

12 თეთრად დროის

აკრეფვის წესი:

ნამობრივი

მობილურ ტელეფონზე დასარეკად

აღრიცხვა

8-100+ მობილური ოპერატორის კოდი (99,98,96;77,93,55)

+აბონენტის ნომერი

საქართველოს რეგიონებში

8-100+ ქალაქის კოდი+აბონენტის ნომერი

8-100

ისაუბრეთ მგზი, გადაიხადეთ ნაკლები

რუსთაველის გამზ. 31 ტელ.: 442828 [www.telecom.ge](http://www.telecom.ge)

# სიასლა ჯეოსელისგან ჭამ-მიქსი!

# GEO \*123# ჭამ MIX მიქსი

## აკვირდით

ქ 1 2 3 4 5 6 7 8 9 0 \* #

და  
მოხანებ ალურად  
და ადგიანთ

მიმდინარე  
ს ე ფ ე ხ ბ უ რ შ ი მ  
მ ე ბ რ ე ბ ი მ ა ნ ბ ა რ ი მ ე ბ ი

# SCORE LIVE

[wap.geocell.com.ge](http://wap.geocell.com.ge)



პუნტი 12 აბრლი 15 საათი თამაზ სტადიონი 3 000 (ტყუადობა 4 000)

სიონი 1:0 დინამო

# დიდი ბოლნისობა

## მიკუჩაძის შედეგზე სტადიონი დაანბრია



კოკა მიკუჩაძემ (მარცხნივ) მთელი ბოლნისი აბეიმა

<p>სიონი: ბათიაშვილი, თედორაძე, ლ. ჭელიძე, ჭიჭიაშვილი, რაჭვიანი (კობახიძე 66), დ. სვანიძე, ვ. უგრეხელიძე (კვიციანიშვილი 71), აურბიევი, ქუცურა, ხუციშვილი (სირბილაძე 89), მიკუჩაძე, სათადარიგოზ: ბობიაშვილი; ქარდავა, ოქრობერიძე, ტაბატაძე მწვრთნელი: კახა ცხადაძე</p>		<p>დინამო: სტურუა, ამბროზიო, ორბელიანი, შაშიაშვილი, ნავალოსკი, ლ. ბურდული, ახალაია (თომაშვილი 88), ს. კობახიძე, ლ. ნოზაძე, ვ. დარასელია (ბობოხიძე 72), მეგრელიძე (ს. იაშვილი 46), სათადარიგოზ: ლორია; უ. ლომიანიძე, ქემოკლიძე, ვანაძე მწვრთნელი: ანდრეი ჩერნიშოვი</p>
<p>ბაზრტინიშვილები: იაშვილი (59), ორბელიანი (62), სვანიძე (68)</p>		
<p>ბაქაძე: იაშვილი (59)</p>		
<p>მსაჯები: დ. სანაია; ზ. ხუციშვილი, გ. ცირდავა; ა. ნონიკაშვილი</p>		
<p>დამაკვირვებელი: ს. კუტივაძე</p>		

კობახიძე იყო, ხოლო დაცვაში სხვებზე უკეთ გიორგი შაშიაშვილი თამაშობდა.

...პირველივე წუთზე „სიონმა“ უჩველიტა და ზვიად სტურუამ გიორგი ქუცურას ჩახვეული საჯარიმო ძლივს მოიგერია. მერე ცოტა ხანს შენედა ტემპი, სადაც 30-ე წუთიდან კი მასპინძლებმა დაიჭირეს თამაში — ქუცურამ და ვლადიმერ უგრეხელიძემ ფლანგებიდან აიწყვეტეს, ყველაზე რეალური მომენტებიც ამ დროს შექმნა: დავით სვანიძის შორიდან გასროლილი ოდნავ ასცდა კარს, უგრეხელიძის მახვილი კუთხიდან დარტყმული კი სტურუამ მოიგერია.

მეორე ტაიმში უფრო დააწვა „სიონი“, მიკუჩაძე თითქმის ყველა ბურთს იგებდა, ან ჯარიმას მაინც გამოჰკრავდა ხელს.

55-ე წუთზე ქუცურუამ კიდევ ერთხელ დააბზრია საჯარიმო და ოდნავ ააცილა, აქეთ კი ბრაზილიელი ამბროზიოს 30 მეტრიდან დაქუხებული ზურაბ ბათიაშვილიმა ზედ კარის ზაზთან გააშეშა. კაცნაკლულობამ ნელ-ნელა დაიწყო „დინამოს“ ძალები. მხოლოდ ერთხელ გამოუვიდათ კარგი კონტრშეტევა სტურუმებს, თუმცა დარასელიამ ბურდული-ახალაიას კომბინაციის შემდეგ მახვილი კუთხიდან ვერ დაუმიზნა კარს.

სამაგიეროდ, სტურუას კართან დაცვა — დავით ჭიჭვიშვილს და

ბეგლარ თედორაძეს გაუცუდდათ დარტყმები.

და ბოლო წუთი! კოკა მიკუჩაძემ „დინამოს“ საჯარიმოში მიიღო ბურთი, მოტრიალდა, წინ მდგომი მცველები ლამაზი ფინტით დააბნია და სტურუას შორეულ კუთხეში გაუტანა — სათადარიგოთა სკამიდან კი არა, კინაღამ ტრიბუნებიდანაც გადახტნენ მაყურებლები მიუღებლად, ისეთი იყო ემოცია. მიკუჩაძე სიხარულიდისგან ლამის დაახრჩვეს: „სიონის“ ათიანს გოლი ნაღდად ეკუთვნოდა ამ თამაშში.

ნამატჩვეს „დინამოს“ ფეხბურთელები აღმუთოებულნი იყვნენ მსაჯობით, თუმცა ეს ალბათ უფრო ემოციური ფონი იყო...

### პრესკონფერენცია

ანდრეი ჩერნიშოვი: იაშვილის გაძევებამ მძიმე დღეში ჩაგვავდა. საყურებლად კარგი თამაში იყო. სამწუხაროდ, ჩემპიონობის შანსი საბოლოოდ დაკარგეთ, „სიონი“ კი უპირველესი კანდიდატია.

კახა ცხადაძე: „დინამო“ ჩემი თაობის ფეხბურთელთათვის ოცნების გუნდი იყო და სულაც არ მიხარია, რომ დღეს ასე უჭირს. „დინამო“ სახელიანი კლუბია და მისი დამარცხება ჩვენთვის ორმაგად სასიამოვნოა. ვფიქრობ, „სიონი“ გუნდური თამაშის წყალობითაა პირველ ადგილზე და ამას ვიმსახურებთ კიდევ.

### ილია ნანობაშვილი ბოლნისიდან

„მორჩა, ჩემპიონები ვართ! ახლაც გავაჩერებს ვინმე?!“ — ასეთი შეძახილები ისმოდა ნამატჩვეს ბოლნისის „თამაზ სტეფანიაზე“. 3 000 მაყურებელი ვულკანს მოგაგონებდათ, ისეთი ამბავი იყო... კოკა მიკუჩაძის ულამაზესმა გოლმა სტადიონი ლამის დაანგრია... „სიონის“ დლეობა იყო თავიდან ბოლომდე: „დინამო“, რაც უნდა იყოს, „დინამო“ და მისი დამარცხებით გამოწვეული სიხარულს ხომ საზღვარი არ ჰქონდა, თან გუშინდლამდე ბოლნისელთა თანამეჩულები „ვიტ ჯორჯიაშ“ ბორჯომში წააგო.

მატჩს ესწრებოდნენ ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ნოდარ ახალკაცი, სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარე დავით ნამგალაური, საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერი და „სიონის“ საპატიო პრეზიდენტი დავით კირკიტაძე...

„სიონი“ 59-ე წუთამდეც სჯობდა სტუმარს და ვინ იცის, სანდრო იაშვილის გაძევების გარეშეც მოეგო, მაგრამ სწორედ ამ „ვინ იცის“-ს კუთრიალებით — უკვე მერამდენედ იაშვილმა, რომ იტყვიან, ძალით გაიმევა თავი, საკუთარი ხელით გამოლადრა კისერი „დინამოს“. მან ჯერ თანამსაჯს შეაგინა და როგორც კი მთავარმა მსაჯმა ყვი-

თელი ბარათი ამოუღო, მასაც იგივე გაუმეორა, დავით სანაიაძე ყვითელი გაიმეორა და... ასე „დაიბადა“ წითელი ბარათი. რამდენჯერ გვიხდება იმის თქმა, რომ იაშვილი მართლაც ნიჭიერი, განსხვავებული სტილის მოთამაშეა, მაგრამ ხასიათს ვერ ერევა.

„იაშკას“ ამბის შემდეგ „დინამომ“ ნომინალური თავდამსხმელის გარეშე გააგრძელა თამაში, თუმცა ანდრეი ჩერნიშოვმა ვიტალი დარასელია წაწია შეტევაში. მართალია, ცოტა ხანში „დინამოს“ თავკაცმა მიხეილ ბობოხიძემ გამოიყვანა, მაგრამ არც ამ ხერხმა გაჭრა. სტუმართან ყველაზე აქტიური მარცხენაფლანგელი ჭაბუკი სანდრო



სანდრო იაშვილს გინება არ შეარჩინეს



„დინამო“ მსაჯობით უმეყოფილო დარჩა



# 4:1 ქუთაისის სასარგებლოდ გამეზარდაფილის იმერული ესკიზები

ქუთაისი. 12 აპრილი. 16 საათი. ტურპილი. 2 000 (ტყვადობა 20 000)

<b>ტორპედო 2:3 ზესტაფონი</b>	
0:1, 0:2 გამეზარდაფილი (4ს.კ., 43ს.კ.), 0:3 გოცირიძე (77), 1:3 გამეზარდაფილი (89მ), 2:3 დოლონაძე (90)	
<p><b>ტორპედო:</b> ჭურაძე, ბერუაშვილი, ა. კვერნაძე, დარსანიანი (გ. ყიფიანი 68), ზ. ჩხეტიანი, რ. კვერნაძე (გურული 46), გამეზარდაფილი, პარამონოვი, კორღალიძე, დოლონაძე, მ. ლონდაძე (მ. ძიძუაშვილი 46) <i>სათადარიგო:</i> მიგინიძე, ლაღაძე, გორგოძე, დ. ჯანაშია</p> <p><b>მწვრთნელი:</b> იური კვერნაძე</p>	<p><b>ზესტაფონი:</b> გ. ჭანტურია (რ. კვასხვაძე 86), ძამაშვილი, შ. ლონდაძე, ს. თოდუა, ვ. ჩხეტიანი, გ. თურმანიძე, ბუღალაძე, ნუდნი (ბ. ნოზაძე 74), გ. ქელიძე (ბ. გოცირიძე 68), იმედაძე, იონანიძე <i>სათადარიგო:</i> გიორგიძე, ძარია, ხიდველი, გელაჭიშვილი</p> <p><b>მწვრთნელი:</b> მერაბ კოჭლაშვილი</p>
<b>ბაზრთხილვა:</b> ა. კვერნაძე (42)	
<b>მსაჯები:</b> ა. კრიჭაშვილი; ზ. ერქვანიანი, მ. ნაკაიძე; მ. მაისურაძე	
<b>დაგმპირები:</b> ს. კვარაცხელია; დირექტორი: მ. ნორაკიძე	

## ზაზა ცინცაძე ქუთაისიდან

რამდენად დაძაბული და საინტერესო იყო იმერული დერბი, ძნელი სათქმელია, მაგრამ გოლები უხვად კი ვიხილეთ.

მივევთ თანმიმდევრობით... პირველი სახიფათო მომენტი მასპინძლებმა შექმნეს — კოტე დარსანიანს საჯარო დარტყმა სანტიმეტრებით ასცდა მიზანს; მალე დავით გამეზარდაფილს შეეძლო გატანა — კარიდან გამოსული გრიგოლ ჭანტურია შენიშნა და ბურთის თავზე გადასვლა მოიწადინა, მაგრამ მეკარემ ბოლოწამს გამოასწორა შეცდომა.

სამაგიეროდ, სტუმართა საპასუხო იერიში დასრულდა გოლით — ექსტორპედოელ ზურაბ იონანიძის დარტყმული დავით გამეზარდაფილს მოხვდა და... ბურთი „ტორპედოს“ კარში აღმოჩნდა — 0:1.

ტამის ბოლოს ზესტაფონელებმა მეორედ გაიხარეს. უცნაურია და, თავი ისევ გამეზარდაფილმა „გამოიჩინა“ — ამჯერად მან ასევე ექსტორპედოელ კახა ჩხეტიანის გა-

დაცემა ჩაჭრა საკუთარ კარში — 0:2.

შესვენების შემდეგ იური კვერნაძემ ორმაგი შეცვლა განაზრციელა — მოედანზე რევაზ კვერნაძისა და მამუკა ლონდაძის ნაცვლად მერაბ ძიძუაშვილი და გიორგი გურული შეუშვა.

ამის მიუხედავად, მეორე ნახევარშიც ზესტაფონელები დომინირებდნენ.

77-ე წუთზე იონანიძემ მარცხენა ფლანგიდან ბურთი გრიგოლ იმედაძეს გადააწოდა, მისი თავური ძელმა აისხლიტა, დასწრებაზე კი ბექა გოცირიძემ იმარჯვა და ცარიელ კარში თავურითვე შეაგდო — 0:3.

მალე მერაბ ძიძუაშვილს შეეძლო სამარცხენო სხვაობის შემცირება, მაგრამ მისი დარტყმული ჭანტურია ფეხით მოიგერია.

თამაში ბოლოსკენ უფრო გამოცოცხლდა და მომენტებიც მრავლად შეიქმნა.

87-ე წუთზე იმედაძე მეკარესთან პირისპირ გავიდა, მაგრამ დარტყმა არ გამოუვიდა ხეირიანი.



დავით გამეზარდაფილმა (მარჯვნივ) „ჭეთ თრიქი“ გააყვია

მაჭჩის ბოლო წუთებზე „ტორპედომ“ მაინც მოახერხა გატანა — ძიძუაშვილი შეცვლაზე შესულ ახალგაზრდა მეკარე როინ კვასხვაძის ხელს წამოეგო და ალექსანდრე კრიჭაშვილმა უყოყმოდ დანიშნა თერთმეტმეტრიანი. პენალტის დარტყმა და „დანაშაულის“ გამოსყიდვა“ გამეზარდაფილმა ითავა — 1:3.

საბოლოო ანგარიში კი, ფაქტობრივად, ბოლო წამზე არმაზ დოლონაძემ ულამაზესი გოლით დააფიქსირა — მისი თავურის ნახევერთ რამედ ღირდა 2:3.

## პრესკონფერენცია

**მერაბ კოჭლაშვილი:** შეიძლება ითქვას, კლასით დაჯვანებულ მეტოქე ბიჭებმა დავალებას თავი კარგად გაართვეს.  
**იური კვერნაძე:** მონდომებისა და ბრძოლისუნარიანობის ხარჯზე შეგვეძლო არ წაგვეგო, თუმცა ბიჭებმა დღეს ჩვეულად ვერ ითამაშეს და სამწუხაროდ, დავმარცხდით.

ზესტაფონელებმა ცენტრიდან ბურთის გათამაშება ვერც მოასწრეს, მსაჯის საფინანსო სასტვენები გაიძაბა...

თბილისი. 12 აპრილი. 16 საათი. ოლიმპი. 1 000 მყურებელი

<b>ლოკომოტივი 1:4 თბილისი</b>	
1:0 მენაბდე (9), 1:1 ბარაბაძე (63), 1:2 ზირაქიშვილი (75), 1:3, 1:4 ბარაბაძე (87, 90)	
<b>ავციანურმა ვერ გაიტანა პენალტი (25, მეკარე)</b>	
<p><b>ლოკომოტივი:</b> ლ. ლომიძე, პეტროსიანი (თ. მეტრეველი 81), ნ. ეზრაიძე, სორგუაშვილი, პახტაძე, გულორდავა, ყიფიანი, ბარბაქაძე, ალავერდაშვილი (კორიფაძე 53), გ. კახელიშვილი (ავალიანი 53), მენაბდე <i>სათადარიგო:</i> ზუსბაია, ფურთუხია, თუთბერიძე</p> <p><b>მწვრთნელი:</b> სოსო სირაძე</p>	<p><b>თბილისი:</b> მ. ალავეძე, გუმარაშვილი, მიქიაშვილი, ხოსონიშვილი, მიმინოშვილი (ბარამიძე 80), სახვაძე, ზესტაფილი (მ. ბურნაძე 16), ლ. კვარაცხელია, სოჯავა (ზირაქიშვილი 65), აფციანური, რ. ბარაბაძე <i>სათადარიგო:</i> ხომერიკი, ბერიძე, ხუციშვილი, კაკაბაძე</p> <p><b>მწვრთნელი:</b> გონა ტყეშელაშვილი</p>
<b>ბაზრთხილვა:</b> გულორდავა (71)	
<b>მსაჯები:</b> მ. ბეჟელიშვილი; დ. კურტიანიძე, ი. ურუშაძე; ს. გაგნიძე	
<b>დაგმპირები:</b> ე. სილაგავა	

## კობა ინასარიძე

...ერთი ასეთი ტურიც და, ჩემპიონატის პირველი წრის შემდეგ უმაღლესი ლიგის დასაწყისად განწირული „თბილისი“ თავს სამშვიდობოს დაიგულბეს, ანუ იმ აუტსაიდერებს ჩამოიჭრებენ, სეზონ-

ის ბოლოს პირდაპირ პირველ ლიგაში რომ უნდა დაქვეითდნენ. „თბილისის“ ალბათ ქველა ლიგის შესამეშობოთ ადგილს უნდა დაეკარგათ, მაგრამ თამაშებში მოუწევს ურთიერთობის გარკვევა. საბოლოოდ გონა ტყეშელაშვილს დაეხმარება მატჩების კალენდარიც ხელს უწყობს და

# თბილისმა ძველიდან დაიწყო, ბარაბაძემ ზემოდან ააყოლა

შემადგენლობაც, რომელიც ამ ბოლო დროს შეკრიბა.

„თბილისის“ გუშინდელ მეტოქეს კი მეორე წრეში აშკარა ჩავარდნის მიუხედავად, უკვე რა ხანია, თავი ქუდში აქვს და პირველ წრეში მოგროვილი ქულების წყალობით, არანაირი საშიშროება არ ემუქრება.

ამ ყველაფრის გათვალისწინებით, არც გუშინდელი შედეგი იყო გასაკვირი. ეგაა, „ლოკომოტივი“ შესვენებამდე დაწინაურდა და მატჩშიც ცოტა ინტრიგა შეიმატა. თუმცა გიორგი მენაბდის გოლის შემდეგ „თბილისის“ სამი-ოთხი გატყუებული ნაღდი საგოლე მომენტებიც ვნახეთ, მათ შორის, პენალტი, რომელიც თორნიკე აფ-

ციანურს მეკარე ლევან ლომიძემ არ გაატანინა.

შესვენების შემდეგ კი „თბილისმა“ დიდი ძალებით შეუტია და ვიდრე ანგარიში გათანაბრდებოდა, „ლოკომოტივის“ მხრიდან, ცოტა არ იყოს, გასაკვირი შეცვლები ჩავინიშნეთ. მასპინძელთა მწვრთნელმა თამაშის განახლებიდან რვა წუთში დღევანდელი „ლოკომოტივის“ ორი ყველაზე „გამოცდილი“ ფეხბურთელი, გიორგი კახელიშვილი და მისი სეხნია ალავერდაშვილი ერთდროულად შეცვალა. რატომ, ვერ გეტყვით, სამაგიეროდ კი, ამ შეცვლებიდან ათ წუთში „ლოკომოტივმა“ გოლი მიიღო. მარცხენა ფლანგიდან არჩილ სახვაძის ჩაწოდებულ ბურთის რევაზ ბა-

რაბაძემ ადგილი ზუსტად შეურჩია და თავურით გაიტანა.

ანგარიშის გათანაბრების შემდეგ „თბილისის“ უპირატესობა იმდენად აშკარა გახდა, რომ მათი საბოლოო წარმატება არანაირ ეჭვს აღარ იწვევდა. სტუმრებმაც აიწვეტეს და „ლოკომოტივს“ კიდევ სამი გოლი „მიართვეს“.

„თბილისი“ შეცვლაზე შესულმა ზაზა ზირაქიშვილმა დაწინაურდა, რომელიც ისევ სახვაძის ფლანგურ ჩაწოდებას გამოეხმურა და თავურით შეაგდო. მერე ვანო ხოსონიშვილის პასით ისევ ბარაბაძემ იხეირა, სულ ბოლოს კი, ბარაბაძე ლომიძეს პირისპირ აფციანურმა შეატოვა და ჰეთ თრიქიც გამოცხვია — 1:4.



საქართველოს საფეხბურთო ფედერაცია

# საქართველოს XVII ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა

მეორე ტურა

24 თებერვალი

## თამაში წამატებულ ნერვებზე

თბილისი. 12 აპრილი. 16 საათი. აშერი. 800 (ტევადობა 900)



### აშერი 1:0 კოლხეთი



1:0 წინამძღვრიშვილი (90)

**აშერი:** ქვაჩაია, დავითიძე, ხვადაგიანი (გ. კვახაძე 46), ჩიკვილაძე, დოლიძე, ბოლქვაძე, დეკანოზიძე (სევასტოპოლო 57), კოშკაძე, ს. დავითაშვილი (ბ. კაიფარაშვილი 72), წინამძღვრიშვილი

**სათადარიგო:** ნაჭყვიაძე, დობროვოლსკი, ნიკოლაიშვილი, სილაგაგა

**მწვრთნელი:** გიორგი ჩიხრაძე

**კოლხეთი:** ლატარია, ქობულაძე (დ. ნარსია 64), ზ. რაზმაძე, ფარულავა, ყურაშვილი, ლოლუა, ნაბრია (კრასოვსკი 36), გორალაშვილი (ზ. ჯანაშია 84), ვართაგავა, მარგალიტაძე, ნიქარიშვილი

**სათადარიგო:** ხარბიშვილი, კილასონია, ზ. ქუთათელაძე

**მწვრთნელი:** სოსო ფილია

**ბაზრისტიშვილი:** რაზმაძე (4), დავითიძე (52), კრასოვსკი (90)

**მსაჯე:** დ. ხარბიშვილი; გ. ჩიგოგიძე, კ. ბერაძე; გ. დოგრაშვილი

**დაამპირებამი:** ი. მჭედლიშვილი; დირექტორი: პ. ბურჯალიანი



რატი წინამძღვრიშვილის (მარჯვნივ) გვიანმა გოლმა „აშერს“ მოგება გაახსენა

### პანა შალვაშვილი

კარში დარტყმა: 10-4; კარისკენ დარტყმა: 12-0; კუთხური: 10-3... ვერაფერს იტყვი, შესაშური სტატიკაა, რომლითაც ერთი შეხედვითვე ნათლად ჩანს, როგორ აჯობა ერთმა გუნდმა მეორეს, მაგრამ... გუშინდელი გამარჯვება არც ისე იოლი გამოდგა „აშერისთვის“, როგორც ეს ციფრებში იკითხება. აბსოლუტურად გამოფიტული, არეული, ქაოტურად შემტევი და ნერვებაწეწილი ჩანდა „აშერი“. გუნდი, რომელსაც სწორედ ფოთის „კოლხეთთან“ გარიგებაში დასდეს ბრალი და, თქმა რად უნდა, გუშინ თბილისელებს რომ ვერ მოეგოთ, ემანდ, უფრო მეტი სალაპარაკო არ მისცემოდათ მავანთ...

მოკლედ, ძნელი სათქმელია, რა იყო „აშერის“ ცუდი თამაშის მიზეზი, თუმცა იმას ვერ გავიქცევით, რომ მასპინძლებმა მომენტები ბლომად შექმნეს და თანაც როგორი... „მომენტები გვექონდა, მაგრამ გუნდი ძალიან გადაიღალა, ოთხი დღე

ის წინ ბოლნისის „სიონს“ თასზე ვეთამაშეთ, ახლა „კოლხეთი“ გველოდა. ბიჭებმა ძალების აღდგენა ვერ მოასწრეს“ — განაცხადა მატჩის შემდგომ პრესკონფერენციაზე „აშერის“ თავკაცმა გიორგი ჩიხრაძემ.

გადაღლას პირველივე წუთებზე ორი გაცუდებული მომენტი მოჰყვა, ამას თამაშის ვერდაწყობა და მოედნის ცენტრის დაკარგვა დაემატა, დროის გასვლამ ნერვებიც დაჭიმა და... პირველი ტაიმის მერე ძალიან ძნელი სავარაუდო იყო „აშერის“ მოგება.

„კოლხეთი“ დინჯად იდგა დაცვაში, ბურთის მოხელეობისას გრძელ პასებს არ აგვიანებდა და ხიფათის განმუხტვას ამ ხერხით კარგად ართმევდა თავს.

„თავდასხმაში სწრაფი წიქარიშვილი დაგაყენე, ნახევარდაცვაში კი ხუთი კაცი მყავდა და ამ სქემამ გაამართლა“ — თქვა ნამატჩევს სოსო ფილიამ და მართალიც იყო. კოლხეთის სქემამ „აშერის“ რგოლებს შორის კავშირი შეაფერხა,

რამაც მთავარი პრობლემა შექმნა — დაცვიდან თავდასხმამდე ბურთის მიტანას დიდი დრო მიჰქონდა.

თუმცა, ამის მიუხედავად, თბილისელებს პირველსავე ტაიმში შეეძლოთ საქმის მოთავსება: სულიკო დავითაშვილს, ალექსანდრე კოშკაძეს, რატი წინამძღვრიშვილს და გიორგი დავითიძეს რამდენჯერმე მიეცათ საგოლე შანსი, მაგრამ...

ფოთელებმა „აშერის“ საჯარიმოსთან მიახლოება ერთადერთხელ შეძლეს — მანუჩარ წიქარიშვილი მცველებს დაუსხლტა, თუმცა საგოლედ ვეღარ მოიქნია.

ეს იყო და, შესვენებამაც მოატანა. „აშერიც“ ისეთი ბუზღუნითა და წამხდარი ნირით შევიდა გასახლეში, რომ ამკარა იყო: მეორე ტაიმი ნერვების თამაში იქნებოდა. აბა, რას დავაბრალოთ მეორე 45-წუთეულში გაცუდებული სამი მომენტი, რომელზეც ურეალურის თქმაც კი რბილი შეფასება გვეკონია?! ჯერ დავითიძემ ერთი მეტრიდან გადააცილა კარს; მერე მეკარესთან პირისპირ გასულმა დავი-

თაშვილმა გაუშვა ბურთი ღრუბლებში; ბოლოს კი, ალექსანდრე კაიფარაშვილის დარტყმულ და მეკარის მოგერიებულ ბურთს წინამძღვრიშვილმა დაამატა და, ფაქტობრივად, ცარიელ კარს ვერ დაუმიზნა...

იღბალი! დიახ, ზუსტად ეს სიტყვა იზმარა პრესკონფერენციაზე ფილიამ და, სხვა გზა არ გვაქვს, ამჯერადაც უნდა დავეთანხმოთ: მსა-

ჯის მიერ წამატებულ მეორე წუთზე ფოთელთა მეკარე ლევან ლატარია გამოსვლაზე შეცდა, წინამძღვრიშვილმა იმარჯვა, ბურთის თავი დაკარა და 1:0 — ასე მიულოცა „აშერმა“ დაბადების დღე კლუბის პრეზიდენტ ზურაბ ფოცხვერიას. ჩემპიონატში ზედიზედ სამი წაგების მერე „ყვითლებმა“ ნანატრი სამი ქულა გამოპკვიოჯეს მეტოქეს...

### პრესკონფერენცია

**სოსო ფილია:** ჩვენი და „აშერის“ შეხვედრები ყოველთვის დაძაბულია. ამ სეზონში ერთმანეთს ოთხჯერ შევხვდით და ორჯერ ბოლო წუთებზე წაგაგეთ. ამის მიუხედავად, დღეს ჩემი გუნდის თამაშში კმაყოფილი დავარჩი. ახალგაზრდებს ნელ-ნელა ვაჩვენებ ძირითადს და მათ თავი კარგად წარმოაჩინეს. ძალიან მწყდება გული, რომ „კოლხეთს“ და „აშერს“ თამაშის გარიგება დააბრალებს. ასეთი უსაფუძვლო და უაზრო ჭორები ძალიან მტკივნეულია და არ მესმის, რას გვერჩის ეს ხალხი.

**გიორგი ჩიხრაძე:** მართალია, კარგად ვერ ვითამაშეთ, მაგრამ ბიჭებს მაინც მაღლობას ვუხდით. მათ ბოლომდე იბრძოლეს და გამარჯვების გოლიც მსაჯის მიერ წამატებულ წუთებზე გავიტანეთ. აქცენტი თასზე გვაქვს გადატანილი, მაგრამ ჩემპიონატშიც არ ვაპირებთ რაიმეს დათმობას. „აშერი“ ყოველთვის სამი ქულისთვის თამაშობს.



ასეთი მომენტი „კოლხეთის“ კართან მრავლად იყო



გიორგი დავითიძის (№5) სასწაულებრივად აცილებული





















# თქვენი ინტეხვიუ

# ზაზა ფარულასთან

მოგვმართეთ! ტელეფონი: 93 16 08; ელექტრონული ფოსტა: [Starmail@Caucasus.net](mailto:Starmail@Caucasus.net)



პროექტიანი შიგლითიანა



## დინამოს თასიდან სინსაკეპას დაღია არისი დინამიტზე აფეთქდა

რომ არა ზურგის ტრავმა, ვიორგი ცინცაძის სა-ულებ-თასო მედალს უფრო მეტი ბრწყინვალეობა ექნებოდა. სამშაბათ სა-ლამოს ბელგიურ მარლერუაში ევროლიგის შემდეგ რანგით მე-ორე ტურნირის, ულემ-ის თასის ფინალი გაიმართა და ცინცაძის „დინამომ“ ბერძნული „არისი“ დაამარცხა


ქართველი გამთამაშებელი მოსკოვის დინამოელებმა ზურგტკივანი წაიყენეს ბელგიაში, მაგრამ ცინცაძემ ტრავმა ვერ მოიშუშა და თავისიანების ტროუფში წილი ვერ დაიღო. 83-წლიან ისტორიაში ეს გახლდათ მოსკოვის „დინამოს“ პირველი საერთაშორისო ტიტული. აქამდე დინამოელები შორეულ 1968 წელს იყვნენ ევროტურნირის ფინალში, მაგრამ მაშინ თასის მფლობელთა თასი მათ ბერძნულმა აეკ-მა დაათმობინა. ბერძნები ახლაც ლამობდნენ ფინალში რუსული „დინამოს“ დაღონებას, მაგრამ „არისს“ ეს არ გამოუვიდა. თავის მხრივ, ეს გახლდათ პირველი ევროფინალი, რომელიც ამ ბერძნულმა კლუბმა წააგო. აქამდე „არისი“ სამჯერ იყო ფინალში: 1993 წელს საპორტას, 1997-ში კორანის, 2003-ში კი ფიბას ჩემპიონთა თასი მოიგო. მარლერუას 7-თასიან დარბაზში ბერძნული „ამინდი“ იყო. ტრიბუნები ყვეთელ-თეთრად, „არისის“ სიმბოლურ ფერებში იყო გამოწყობილი. ელინებს აურაცხელი ფანობა ჩაჰყვა ბელგიაში და ცოტა თუ იფიქრებდა, რომ რუსთა გუნდი ამ ვახიდან გამარჯვებული გაგამოვიდოდა. გამოვიდა და თან ისე, რომ ბერძნებს მოსადავებელი არაფერი დარჩენიათ. 73:60 — ფინალში ამხელა სხვაობა იმის მანიშნებელია, რომ მომგებმა ღირსეულად იძალა. ერთადერთი, მესამე მეოთხედში გაუჭირდათ დინამოელებს, ნიადაგ ლიდერები, ქულით ჩამორჩნენ, თუ-

თქვენი მორიგი რესპონდენტი საქართველოს საკალათბურთო ნაკრების და „ატლანტა ჰოქსის“ ცენტრალური თავდამსხმელი ზაზა ფარულა იქნება. მოგვანოდეთ კითხვები და ნბ-ს ყველაზე წარმატებულ ქართველთან ინტერვიუ არაუგვიანეს 25 აპრილამდე გამოქვეყნდება.

## ნახვამდის, უთხრა პნას ნატალია

ქალები ჩარლსტონი. აშშ. თიხნარი საპრიზო 1 340 000 \$ პირველი წრი ზამბა ზამბონი (აშშ) — კვება პუჰე (15, ჩეხეთი) — 6:4 6:3; ზუსტინ შაქუ-ლანა (უკრაინა) — ელენა იანკოვიჩი (10, სერბეთი) — 7:6 7:5; შიზან შინაი (აშშ) — ვანესა პენე (გერმანია) — 6:3 6:3; მარინა პარტიჩი (12, საფრანგეთი) — შუაი პენგი (ჩინეთი) — 6:1 6:4; ზუსტინ შრუფი (გერმანია) — შინო-ბუ ასაგოე (იაპონია) — 5:7 6:2 6:4 მეორე წრი ანა ტატიშვილი (საქართველო) — ნატალია დევი (8, საფრანგეთი) — 5:7 4:6; შუსტინ შინა-არდინი (1, ბელგია) — სიბილ ზამერი (ავსტრია) — 6:2 6:3; დინარა საფინა (7, რუსეთი) — ვერა ზონარიოვა (რუსეთი) — 7:5 7:5; პატი შინაი (3, შვეიცარია) — მი-ლენ ტუ (აშშ) — 6:4 7:5; ლურდინ დონ-ბინგ-ლინი (ესპანეთი) — კრისტინა ბრანდი (პუერტორიკო) — 6:4 6:4; პატალინ პასტანო (კოლუმბია) — ნიკოლ ვაიდინოვა (5, ჩეხეთი) — 7:5 6:2 პატები ვალენსია. ესპანეთი. თიხნარი საპრიზო 395,750 ევრო პირველი წრი იან შინინი (ჩეხეთი) — ნიკოლაი დევიდენკო (1, რუსეთი) — 7:5 7:5; მილ-რში ბარსინა (ესპანეთი) — ფელიცია-ნო ლოპესი (ესპანეთი) — 6:3 6:3; ში-ტიტი სტარბაჩი (იტალია) — ლუკაშ დლუბი (ჩეხეთი) — 6:3 6:3; ალბერტო მარტინი (ესპანეთი) — ფინანდო ვერდასკო (7, ესპანეთი) — 6:3 6:4; ბნდ-რამეს სპი (იტალია) — რუბენ რამი-რეს იდალგო (ესპანეთი) — 6:2 6:2; შილ-სინინი (საფრანგეთი) — რობინ ვიკი (ჩეხეთი) — 6:3 6:2; დავიდი სანდინი-ტი (იტალია) — თეიმურაზ გაბაშვილი (რუსეთი) — 6:7 6:4 6:3; ტინიტი ასინი-ნი (საფრანგეთი) — დავიდ ფერერი (3, ესპანეთი) — 7:6 (უარი); ფილიპო ში-ლანდრი (6, იტალია) — ალბერტ პო-რტასი (ესპანეთი) — 6:0 6:3; ტომას ზი-პი (ჩეხეთი) — ანდრეი პაველი (რუმინეთი) — 7:5 6:3; ნიკოლა ალბერტი (ესპანეთი) — ზუან-კარლოს ფერერი (4, ესპანეთი) — 6:7 6:4 6:4; მარტ ს-ფინი (რუსეთი) — იგორ ანდრევი (5, რუსეთი) — 7:6 6:4; შორის პაშინსკი (სერბეთი) — ალბერტო კოსტა (ესპანეთი) — 3:6 6:3 6:4; ფლორინა ბანი-რი (გერმანია) — გილგე ბურნილი (ესპანეთი) — 6:0 6:3; პასტინ ბაუდიო (2, არგენტინა) — რაიმონ სლუტერი (პოლანდია) — 7:6 7:6

ზურგის სათიხნარო სეზონი და ნულ-ნულა ამ საფარის „სპეციალისტები“ სულ უფრო წინა პლანზე გამოდის. თუკ უმეტესობა მინც ჰარდიან გრუნ-ტზე გადართვის თანამდევ პიობლე-მების დაძლევა ცდილობს. ჩარლსტონში მიმდინარე ტურნი-რზე ფავორიტები კი გამოჩნდნენ, მაგრამ, სანამ მათზე ვიტყვოდეთ, ვერ ჩვენი ვთქვათ: პირველწრეგაგაილმა ანა ტატიშვილმა მეორე განთესილ მეტოქესთან ნატალია დევითან 5:7, 4:6 წააგო და ტურნირის დაეთხოვა. უნდა აღინიშნოს დინარა საფინას წარმატებაც, რომელიც ვერა ზონარიოვას ბელგისურად ექცა. მან თანამემამულეს წაღულს უკვე მე-სამედ მოუგო. დას არც მარტ საფინი ჩამორჩა, რომელმაც ოკეანის გამოღმა იჩაუ-ქა და ნაკრებში თავის სპარინგ-პარტნიორ იგორ ანდრევს მოუგო. მარტა ერთადერთია, რომელიც რუს ჩოგბურთელთა დიდი არმიიდან ვალენსიას შემორჩა. დანარჩენები უკვე აბარგუნენ პირენეებიდან განსაკუ-თრებით ნიკოლაი დავიდენკოს მარ-ცხია გამოსარჩევი, რომელმაც იან პენინთან ორ სეტში წააგო. საფინი შემდეგ წრეში სერბ ბო-რის ჰამანსკის შეხვდება, რომელმაც თითქმის დავიწყებას მიცემული ვე-ტერანი ალბერტო კოსტა დაამარცხა. ვალენსიელი გულშემატკივრები კიდევ ორ, თანაც განთესილ თანა-მემამულეს მოისაკლისებენ — დავიდ ფერერმა და ზუან-კარლოს ფე-რერომ პირველივე წრეში აიკრეს გულანაბადი.



პატი შინაიდერი

